

აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის 2019 – 2022 წლების ეროვნული სტრატეგია

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის 2019 – 2022 წლების ეროვნული სტრატეგიის ჩარჩოს და განსაზღვრავს დოკუმენტის ძირითად ელემენტებსა და მიმართულებებს. ჩარჩოს საფუძველს წარმოადგენს:

1. საქართველოს მთავრობის # 326 დადგენილება აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის 2016 – 2018 ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ (11 ივლისი, 2016)¹;
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება # 629 პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე (30 დეკემბერი, 2016)².

სტრატეგიის დოკუმენტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები და მიმართულებები

1. შესავალი
2. სიტუაციური ანალიზი
 - 2.1 საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი
 - 2.2 მთავარი გამოწვევები
3. აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგიის ამოცანები
 - 3.1 აივ/შიდსის პრევენცია და გამოვლენა
 - 3.2 აივ ინფიცირებულ პირთა მოვლა და შიდსით დაავადებულთა მკურნალობა
 - 3.3 პოლიტიკის შემუშავება
4. დანართები
5. გამოყენებული ლიტერატურა

სტრატეგიის მომზადების ფაზები და ვადები

სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება უნდა მოხდეს 2018 წლის 15 მარტიდან 30 ივნისის პერიოდში.

დოკუმენტის მნიშვნელობის, ასევე დაინტერესებულ მხარეთა დიდი რიცხვის გათვალისწინებით, დოკუმენტზე მუშაობის პროცესში კონსულტანტი გეგმავს სამუშაოს შესრულების ყველა ეტაპზე ფართო ჩართულობის უზრუნველყოფას. ეს შეეხება როგორც ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმს და პოლიტიკისა და

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3337676>

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3526319>

ადვოკატირების საბჭოს, ასევე ცალკეულ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
2. ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
3. ინფეციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი;
4. ფინანსთა სამინისტრო;
5. აივ/შიდსის პრევენციის სამუშაო ჯგუფი (PTF);
6. გაეროს სააგენტოები (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს მოსახლეობის ფონდი და ა.შ.);
7. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ აივ/შიდსის საკითხებზე კვლევისა და ჯანდაცვის სისტემების კუთხით;
8. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ მაღალი რისკის ჯგუფებთან;
9. სათემო ორგანიზაციები;
10. თემის წარმომადგენლები და ა.შ.

სამუშაო განრიგის, ვადებისა და ამოცანების საბოლოოდ შეთანხმების შემდგომი მუშაობა განხორციელდება სამ ეტაპად:

I ფაზა სიტუაციური ანალიზი	II ფაზა გვეგმის შემუშავება	III ფაზა საბოლოო გვეგმის შემუშავება
<ul style="list-style-type: none"> • 2016 – 2018 წწ. სტრატეგიული გვეგმის პრიორიტეტებისა და აქტივობების მიმოხილვა; • საქართველოს გარდამავალი გვეგმის აქტივობების მიმოხილვა; • ორივე დოკუმენტში მოცემული აქტივობების შესრულების შეფასება; • 2019-2022 წწ. სტრატეგიული გვეგმის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; • გვეგმის ჩარჩოს ჩამოყალიბება; • ქსმ-თან და პას-თან შეთანხმება 	<p>დამტკიცებული ჩარჩოს შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამული მიღწევებისა და ლიბოების ანალიზი; • სპეციფიური ამოცანებისა და სამიზნეების განსაზღვრა; • ღონისძიებების ჩამონათვალი თითოეული ამოცანისათვის; • საჭირო რესურსების განსაზღვრა; • დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება; • განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებისა და ორგანიზაციების განსაზღვრა; • მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს ჩამოყალიბება 	<ul style="list-style-type: none"> • მიღებული კომენტარების საფუძველზე გვეგმის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება; • საბოლოო გვეგმის ბიუჯეტის დასრულება; • მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს დოკუმენტის დასრულება
<p>შეხვედრები ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმთან,</p>	<p>შეხვედრები ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმთან,</p>	<p>შეხვედრები ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმთან,</p>

<p>პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭოსთან, PTF - თან, თემის წარმომადგენლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან</p>	<p>პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭოსთან, PTF - თან, თემის წარმომადგენლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან</p>	<p>პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭოსთან, PTF - თან, თემის წარმომადგენლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან</p>
---	---	---

1 ფაზა - სიტუაციური ანალიზი ()

საქართველოს 2016 – 2018 წწ. აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მაღალი რისკის ჯგუფებში ეპიდემიის შემცირება, რისთვისაც უნდა მომხდარიყო მათთვის განკუთვნილი სერვისებით მოცვის გაზრდა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, მკურნალობის გამოსავლის გაუმჯობესება, რისთვისაც მთავრობას უნდა გაეზარდა საკუთარი ვალდებულებები, როგორც დაფინანსების, ასე უნივერსალური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

2019-2022 წლების სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებების სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი იქნება იმის შეფასება, თუ რამდენად არის მიღწეული აღნიშნული მიზანი და რა არის შემდეგი გამოწვევები, რისთვისაც ქვეყანა მზად უნდა იყოს.

ამ მიზნით შეიქნება თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც წარუძღვებიან ადგილობრივი კონსულტანტები. ჯგუფები შეიქმნება: პრევენციის, მკურნალობის, დაფინანსების და ა.შ. მიმართულებით. მათი დახმარებით მოხდება არსებული სიტუაციის შეფასება აივ/შიდსის ეპიდემიოლოგიური სურათის, პრევენციული სერვისებით მაღალი რისკის ჯგუფების მოცვის, დაფინანსებისა და ა.შ. კუთხით. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრების გაზიარება და არსებული სტატისტიკური მონაცემების შეფასება. მნიშვნელოვანი იქნება ინფორმაციის მოძიება იმ წარმატებული პროგრამების შესახებ რომლებიც განხორციელდა საქართველოში ბოლო პერიოდში და ხელი შეუწყო სიტუაციის გაუმჯობესებას.

მომზადებული შეფასება და სიტუაციური ანალიზი განხილული იქნება პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭოსთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით.

არსებული ეპიდემიოლოგიური სურათისა და სიტუაციური ანალიზის საფუძველზე მოხდება 2019-2022 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიზნისა და აქტივობების ჩამოყალიბება.

ამ პროცესში, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას საქართველოს გარდამავალი გეგმის ამოცანები და აქტივობები, მიზანშეწონილია რომ მოხდეს ამ ორი დოკუმენტის ინტეგრირება, რათა ქვეყანას ჰქონდეს ერთიანი სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, საჭირო იქნება გარდამავალი გეგმით გათვალისწინებული იმ აქტივობების შეფასება, რაც 2017 წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო.

საბოლოოდ შეჯერებული ჩარჩო დასამტკიცებლად წარედგინება ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმს.

II ფაზა - სტრატეგიული გეგმის შემუშავება

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს დამტკიცების შემდეგ, მოხდება შეთანხმებული მიმართულებებისა და ამოცანების საბოლოო ფორმირება. შეთანხმებული ამოცანების შესაბამისად, ჩამოყალიბდება იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. ასევე გამოყენებული იქნება მსოფლიო გამოცდილება ამა თუ იმ კონკრეტული მიმართულებით, რათა მოხდეს იმ ინტერვენციების შერჩევა რომელიც მაღალი ეფექტურობით ხასიათდება (რაც დამტკიცებულია გლობალური გამოცდილებით) და ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს.

გეგმაში, გარდა მიზნებისა, ამოცანებისა და განსახორციელებელი აქტივობებისა, განერილი იქნება განხორციელებაზე პასუხისმგებელი დანესებულება/პიროვნება. გეგმაში ასევე მოცემული იქნება თითოეული აქტივობის განფასება, არსებული ფინანსური რესურსები, დაფინანსების წყარო და ღირებულება.

ყველა აქტივობა იქნება გაზომვადი და ექნება შესაბამისი შეფასების ინდიკატორი, რათა ადვილად იყოს შესაძლებელი შესრულების ხარისხის განსაზღვრა. სტრატეგიის დოკუმენტში ასევე იქნება ინტეგრირებული გარდამავალი პერიოდის ღონისძიებები, შესაბამისი ბიუჯეტით და შეფასებისა და მონიტორინგის გეგმით. დოკუმენტის სამუშაო ვერსია განსახილველად წარედგინება აივ/შიდსის პრევენციის სამუშაო ჯგუფს, პოლიტიკისა და ადვოკატირების საბჭოს. საბოლოოდ შეჯერებული ვარიანტი წარედგინება ქსმ-ს.

III ფაზა - საბოლოო გეგმის შემუშავება

ყველა დაინტერესებული მხარისგან მიღებული კომენტარების განხილვა მოხდება თითოეულ ჯგუფთან. შეჯერებული ცვლილებები გეგმის საბოლოო ვერსიაში შევა მხოლოდ ყველა ჯგუფთან შეხვედრისა და შეთანხმების მიღწევის შემდეგ. გეგმის შესაბამისად მოხდება ბიუჯეტისა და მონიტორინგის და შეფასების გეგმის დასრულება.

პარალელურად განხორციელდება გეგმის თარგმნა, რათა საბოლოო პროდუქტი იყოს ორ ენოვანი.